## გია სიამაშვილი*

# პიროვნება, მეცნიერი, მოქალაქე (ბატონ ვაჟა კეშელავას ნათელ ხსოვნას)

ბატონ ვაჟასთან ორი ათეული წლის მეგობრობა და თანამშრომლობა მაკავშირებდა, 1990-იანების ბოლოს „კავკასიურ სახლში“გამოვცემდით გაზეთს „კავკაზსკი აქცენტ“-ს, რომლის დანიშნულება გახლდათ კავკასიელ ხალხთა შორის დიალოგის, კულტურულ ურთიერთობათა უზრუნველყოფა. პოლიტიკური მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა. აფხაზეთი და სამაჩაბლო გამოსული იყვნენ საქართველოს იურისდიქციიდან, ჩრდილო კავკასიაში კი რუსეთ- ჩეჩნეთის ომი მძვინვარებდა, რომელსაც მებრძოლების გარდა ათასობით მშვიდობიანი მოსახლე ეწირებოდა. სეპარატისტული რეგიონების მთავრობებთან პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით გარკვეული შეთანხმების მიღწევის იმედი არ იყო გადაწურული, მაგალითად, ლტოლვილების ეტაპობრივი დაბრუნება, ეკონომიკური თანამშრომლობა... მოლაპარაკებების პროცესს საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, ხელს უწყობდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პერიოდული შეხვედრები. იყო მიმოსვლა, არაოფიციალური ვიზიტები. ერთ-ერთი მათგანის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი ბატონი გურამ ოდიშარია გახლდათ, მის მიერ მოწვეულ აფხაზ სტუმრებთან შეხვედრაში მეც არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა. იყო მცდელობა კონფლიქტის პოლიტიკური მოლაპარაკებებით გადაწყვეტამდე, გვეცადა ერებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა, მათ შორის სახალხო დიპლომატიით, კულტურულ ურთიერთობათა აღდგენით...

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ბატონი ვაჟა წარმოშობით გაგრიდან გახლდათ და თუმც კონ-ფლიქტამდე დიდი ხნით ადრე ოჯახით თბილისში ცხოვრობდა, მშობლიური კუთხის ხსოვნასა და სიყვარულს სიცოცხლის ბოლომ-დე ატარებდა გულით.

ჩვენი შეხვედრის საბაბიც ქართულ - აფხაზურ ურთიერთო-ბებს უკავშირდებოდა, კონფლიქტის მოგვარების იმჟამინდელი სა-მართლებრივი ვერსიების განხილვას. სახლში ვესტუმრე და ვრცე-ლი ინტერვიუ ჩავიწერე. ბატონი ვაჟა იზიარებდა საქართველოს ფე-დერალური მოწყობის იდეას, რაშიც ხედავდა არა მარტო გაუცხო-ებული რეგიონების შემორიგების საშუალებას, არამედ ქვეყნის კრი-ზისიდან გამოსვლის და სწრაფი განვითარების შესაძლებლობას. ამ საკითხს სამეცნიერო სტატია მიუძღვნა, რომელიც გამოქვეყნდა კრებულში „საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები: Pro et Contra” თბილისი 2000 . მოვიყვან ამონარიდს შესავალი სიტყვიდან: „ძნელი წარმოსადგენია ისეთი ცენტრალიზებული უნიტარული სა-ხელმწიფო, როგორიც სსრკ იყო. მაგრამ ამან იგი ვერ გადაარჩინა. მეორეს მხრივ, არსებობს დემოკრატიული დეცენტრალიზებული სახელმწიფოები ან პირდაპირ ფედერაციული, რომელთა ძლიერი ხელისუფლება ემყარება კანონის უზენაესობას და მის მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობას. ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ უნიტარული სახელმწიფო არ ნიშნავს აუცილებლად ძლიერ ხელი-სუფლებას, ისევე როგორც ფედერაციული არ ნიშნავს სუსტს.“ თუმ-ცა რამოდენიმე წლის შემდეგ, სავარაუდოდ კიდევ უფრო გართუ-ლებული პოლიტიკური ვითარების გამო, აეჭვობდა „კანონის უზენ-აესობისა და მის მოთხოვნათა შესერულების შესაძლებლობას,“ რის გარეშეც ქვეყნის ფედერალიზაციას შესაძლოა მოსალოდნელის სა-პირისპირო შედეგები მოჰყოლოდა.

მადლიერებით იხსენებდა თავის პირველ მასწავლებლებს ომ-ამდელ გაგრაში. ეს იყო 1930-იანი წლები, როდესაც სამოქალაქო დაპირისპირებას გარიდებულნი ან დედაქალაქიდან გასახლებული

ძველი  რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები იმპერიის პერიფერიულ ქალაქებში ნახულობდნენ თავშესაფარს და  ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას.

შესაძლოა ამ განსწავლული პედაგოგების დამსახურება იყო ის, რომ სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ  ახალგაზრდა კაცი მოსკოვის სახელმწიფო  უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ორი წლის შემდეგ კი ამავე ფაკულტეტზე მერაბ მამარდაშვილი ჩაირიცხა, რომლის ფენომენალური ნიჭი გაოცებას იწვევდა სტუდენტებსა და პედაგოგებში. აი, ბატონი ვაჟას მიერ მოყოლილი ერთი ისტორია: „მერაბმა ჩვენი კურსის გერმანული ენის პედაგოგს სთხოვა ლექციებზე დასწრება, რაზეც უარი მიიღო, რადგან ეს იქნებოდა შიდაგანაწესის დარღვევა, პირველ კურსელს არ ჰქონდა მესამე კურსელების ლექციებზე დასწრების უფლება. ერთი წლის შემდეგ კი კვლავ  მიმართა ლექტორს, ამჯერად სთხოვა  შეეფასებინა მის მიერ გერმანულად დაწერილი ნაშრომი.  ამჯერად ლექტორმა შეუსრულა თხოვნა და უთხრა, რომ ენობრივი თვალსაზრისით ტექსტი სრულიდ გამართული იყო, ხოლო რაც შეეხებოდა  შინაარს, მისი ვერაფერი გაიგო  რადგან ფილოსოფია მისთვის უცხო ხილი გახლდათ. სულ  ერთ წელიწადში  ისე ისწავლა გერმანული, რომ ფილოსოფიური ნაშრომის დაწერაც კი შეძლო ამ ენაზე.

ჩვენი თანამშრომლობა 2005 წლიდან დაიწყო, როდესაც პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის რეკომენდაციით პოლიტოლოგიის ინსტიტუტში მისულს შემომხედა და წარმოსთქვა: „აჰ, ამას როგორ არ ვიცნობ!“ ბატონ ვაჟას კაბინეტში იშვიათად შევდიოდით, თუმცა ინსტიტუტის მიმდინარე საქმიანობაზე საუბრის შემდეგ, ზოგჯერ აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზეც ვმსჯელობდით, ან რომელიმე ახლად გამოსულ წიგნს ან  სტატიას განვიხილავდით. ზოგადად ინსტიტუტში საქმიან ურთიერთობას ყოველთვის  ახლდა გარკვეული შინაურულობა, გულისხმიერება, რაც პირველ ყოვლისა ბატონი

ვაჟას მენტალიტეტით აიხსნებოდა. მრავალი საერთო ნაცნობი გვყავდა, რადგან უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფილოსოფიის ინსტიტუტში ვმუშაობდი და უნივერსიტეტშიც ვთანამშრომლობდი სადაც ბატონი ვაჟა ლექციებს კითხულობდა. მაგრამ ის რაც განსაკუთრებით მაახლოებდა მასთან, იყო რუსული ფილოლოგია. ბატონი ვაჟა უნივერსალურად განათლებული პიროვნება გახლდათ. ჰუმანიტარულ მეცნიერებაში არ არსებობდა მეტნაკლებად სერიოზული საკითხი, რომელიც მისთვის უცნობი იქნებოდა. ერთი პერიოდი ჯოისის შემოქმედებით ვიყავი გატაცებული და ბატონ ვაჟას ვუზიარებდი ჩემს შთაბეჭდილებებს „ულისეს“ თარგმანთან დაკავშირებით. აღმოვაჩინე, რომ შესანიშნავად იცნობდა არა მარტო ჯოისის შემოქმედებას, არამედ ზოგადად „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას და მის თავისებურებებს. ფილოსოფოსებზე აღარაფერს ვამბობ, დეტალურად შეეძლო ყოველი მათგანის ნააზრევზე მსჯელობა, თუმცა ხანდახან „გაწყრებოდა“: „ამოუჩემებიათ, ჰაბერმასი, ჰაბერმასი, ჩვენს სააზროვნო სივრცეში რა ხდება და რისი გაკეთება შეგვიძლია ამაზე ვიფიქროთ...“ არ უყვარდა ნაშრომები, რომლებშიც ავტორის პოზიცია არ იკითხებოდა. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი ნაშრომების რიცხვი მატულობდა და სტატიებიც ისე ფორმალიზდებოდა, რომ ღირებულ აზრსა და მის პროფანაციას შორის საზღვარი იკარგებოდა.

მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებით უყვარდა და როდესაც მასთან საუბრისას რომელიმე კლასიკოსის სტრიქონები გამახსენდებოდა აზრის საილუსტრაციოდ, გაირინდებოდა, ლოცვასავით ისმენდა, შესაძლოა ლერმონტოვის, გრიბოედოვის ან ტიუტჩევის ციტირებისას სკოლის პერიოდი და ის ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელი მასწავლებლები ახსენდებოდა. თორმეტი წლისას მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა ჰქონდა გადატანილი, დედის მოულოდნელი დაღუპვა. ომის წლებში გაგრიდან სოჭისკენ მიმავალ

სამგზავროს სამხედრო მანქანა დაეჯახა და დედა ამ ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა.

მისი სამეცნიერო ინტერესების ერთ-ერთ საგანს ძალაუფლების და მისდამი დაქვემდებარების საკითხი წარმოადგენდა, რაც ბუნებრივია ფედერალიზაციის საკითხს უკავშირდებოდა. უნიტარული ქვეყნისთვის, რომელშიც ავტორიტარული მმართველობაა, დამახასიათებელია ძალაუფლების გადამეტება, რეჟიმის მესვეურნი ხშირად გადიან კანონის ჩარჩოებიდან.

ბატონი ვაჟა იმ უფროსი თაობის ინტელიგენციის წარმომადგენელი გახლდათ, ვისთვისაც დაუღალავი პროფესიული შრომა სარწმუნოების მსგავსად ატანინებდა წუთისოფლის უკუღმართობას, სოციალურ და პოლიტიკურ კატაკლიზმებს.

საგულისხმო იყო მისი მკვეთრი სამოქალაქო პოზიცია ჩვენი უახლესი ისტორიის საბედისწერო მოვლენასთან დაკავშირებით. 1991/92 წლების სამხედრო გადატრიალებას კაენის ცოდვად რაცხდა,რომელსაც მრავალი ბოროტებისა და უბედურების სერია მოჰყვა.

**Gia Siamashvili**

**Person, scholar, citizen (living memory of Vazha Keshelava)**

**Summary**

The author recalls episodes of his 20 years of cooperation with Vazha Keshelava, reveals him as a scholar and a person.